პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 152

2019 წ. "14" 08

ქ. თბილისი

სსიპ კოლეჯ „თეთნულდის'' ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე- 5 პუნქტის, 39-ე მუხლის 1^1 და 1^5 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ კოლეჯ „თეთნულდს'' (საიდენტიფიკაციო კოდი: 235891512) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 103- ით.
2. სსიპ კოლეჯ „თეთნულდს" მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 29 აგვისტო.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №12 სხდომის ოქმის მეშვიდე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ნანა ყუფუნია

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	სასტუმრო მომსახურება (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში 1013	80	110	ქართული	20	მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25
2	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	ქართული	20	მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25
3	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	20	მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25
4	ელექტროობა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713	52	67	ქართული	20	მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტების ათვის	სწავლების ენა	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	მიღება-განთავსების სპეციალისტი(1)	მესამე საფეხური	მიღება-განთავსების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112065	79	94	ქართული	7	მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25
2	ბუღალტერ-ტექნიკოსი(1)	მესამე საფეხური	ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020155	62	77	ქართული	7	მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25

(1)- აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;
(2)- აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

ინფორმაცია მხოლოდ პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	გიდი	მესამე საფეხური	გიდი (გეოტურიზმის და ა.შ) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112051	60	ქართული	9	მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25